

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში დამატების შეტანის თაობაზე“

ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონის მიღების მიზეზი:

რეგლამენტის მიღებას განაპირობებს ის, რომ ქონებრივი დეკლარაციების წარდგენის ვადა იწყება 1 აპრილიდან, რის გამოც მიღებული უმაღლესი საბჭოს წევრის საბინაო პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით მიღებული წესის ამოქმედება უფრო მოსახერხებელია ამ ვადის დადგომიდან.

ა.ბ) კანონის პროექტის მიზანი

რეგლამენტის პროექტის მიზანია განხორციელდეს უმაღლესი საბჭოს წევრის საბინაო პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით მიღებული წესის ამოქმედება ტექნიკური შეფერხებების გარეშე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

რეგლამენტის პროექტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დარეგულირდეს უმაღლესი საბჭოს წევრის საბინაო პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით განსახორციელებელი პროცედურები.

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი დაფინანსების წყარო

აღნიშნული რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა საშემოსავლო ნაწილზე

რეგლამენტის პროექტი გავლენას არ მოახდენს საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

რეგლამენტის პროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

რეგლამენტის პროექტი არ ცვლის ფინანსურ შედეგს იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესის (პრინციპი)

რეგლამენტის პროექტი არ იწვევს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის ცვლილებას.

გ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

წინამდებარე რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

ეს რეგლამენტის პროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან. პირიქით, შესაბამისობაში მოდის შავი ზღვის ქვეყნების კონვენციასთან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონპროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ არის მიღებული.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

წერილობითი შეფასებები არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

რეგლამენტის პროექტის ავტორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი რაული თავართქილაძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

რეგლამენტის პროექტის ინიციატორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.